ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის ანგარიში, 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ

„მოგესალმებით, გახლავართ ამირან კოპალეიშვილი, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ამავე საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი. როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ჩემი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ მოსახლეობას წარვუდგინო ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, ჩემს ანგარიშს დავყოფდი ორ ნაწილად: პირველი, როგორც მაჟორიტარის და მეორე-როგორც საკრებულოს წევრისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის. წარმოგიდგენთ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა, დავიწყებ მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციით, უქიმერიონის სამაჟორიტარო ოლქში რეაბილიტირდა შემდეგი კორპუსების ფასადები:

- დუმბაძის ქუჩ N2 (თანხა 228 450)
- რუსთაველის გამზირი N102-104 (თანხა 394 000)
- რუსთაველის გამზირი N85 და N92 (575 000)
- რუსთაველის გამზირი N96 (მიმდინარეობს და თანხა 299 980)
- ჯავახიშვილის ქუჩა N1 და N2 ფასადების ტენდერი ჩატარდა (თანხა 780 000)

ჯამი: 2 277 930 ლარი.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2021 წელს TV რიონის ეთერში დავაანონსე რუსთაველის ქუჩის ფასადების სრული რეაბილიტაცია და დათქმულ პირობას ბოლომდე ვასრულებთ. მომდევნო წელს იგეგმება გამარჯვების მოედანზე, რუსთაველის გამზირის N97-99 ჩათვლით, ასევე რუსთაველის N108, N116, N118, N27 და N24-ის (ჯამში 1 000 000 ლარამდე) რეაბილიტაცია. აღნიშნულს მოსაწონებელ წინადადებებში ვუყრით კენჭს, რის შემდეგაც გადაიგზავნება რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსების მოსაპოვებლად. აქვე მინდა ავღნიშნო, რუსთაველის გამზირის N110-დან 114-ის ჩათვლით არ შედგა ტენდერი, მოსახლეობამ განაცხადა უარი მოცემული პროექტის მიხედვით რეაბლიტაციის განხორციელებაზე. გამარჯვების მოედანზე მოხდა გზის გამყოფ კუნძულებზე გამწვანების მოწყობა, რისთვისაც დაიხარჯა 196000 ლარი, ასევე დასრულდა გამარჯვების მოედანზე არსებული კოლონადების რეაბილიტაცია, რისთვისაც დაიხარჯა 88 000 ლარი.

უქიმერიონის ოლქში მოხდა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია:

- ბარნოვის ქუჩა N43 (51 530 ლარი);
- კიკვიძის ქუჩის N8(133 333 ლარი);
- გაფრინდაშვილის ქუჩის N10-სა და N3-ს შორის (339 980 ლარი);

- ჭაბუკიანის ქუჩა N3- ში (126 315 ლარი);
- ისიანის N23 (17 950 ლარი);

ჯამი : 669 108 ლარი.

საყრდენი კედლების აღდგენას და მოწყობას ვგეგმავთ შემდეგ მისამართებზე:

- ლესელიძის პირველი ჩიხი N10-ის მოპირდაპირედ;
- პეტრიწის ქუჩა N21 -ის მოპირდაპირედ;
- ასლანიკაშვილის N13;
- ჭონქაძის ქუჩა N1, N3 და N3ა;
- ასლანიკაშვილის ქუჩა N44;
- ასლანიკაშვილის N19;
- კიკვიძის N9-ის მიმდებარედ;
- პეტრიწის მე-2 ჩიხი N9 -ისა და პეტრიწის N12-ის მიმდებარედ;
- ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-6 შეს. N14-ის მიმდებარედ;
- ქ. წამებულის ქუჩის მეორე ჩიხი N10-ის მიმდებარედ;

მითითებულ მისამართებზე საპროექტო დოკუმენტაცია ნაწილზე არსებობს, ხოლო დანარჩენზე პროექტები მომზადების პროცესშია.

რაც შეეხება გზების რეაბილიტაციას, ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი არის პეტრიწის მეორე შესახვევი, რომლის რეაბილიტაცია დღე-დღეზე დაიწყება და მისი ღირებულება 1 765 000 ლარია, ასევე დაიწყება გაფრინდაშვილის ქუჩის მეორე ჩიხის რეაბილიტაცია, რომლის საყრდენი კედელიც გაკეთდება და 401 000 ლარია გამოყოფილი. მოსაწონ წინადადებებში, რომელიც რეგიონალურ ფონდში გადაიგზავნება, ასევე მოწონებულია და იგეგმება შემდეგი გზების რეაბილიტაცია:

- ონის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (გუმათი)
- ლესელიძის ქუჩაზე ჯომარდობასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ჭომა)
- გოჭოურას სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;
- ვაჟა-ფშაველას N2 დან N14-ის ჩათვლით;
- ჩანჩიბაძის და ქეთევან წამებულის ქუჩების დამაკავშირებელი მონაკვეთი;
- შავგულიძის ქუჩის რეაბილიტაცია;

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ქუჩებიდან ნაწილზე უკვე გამოცხადებულია ტენდერები.

განხორციელდა ნინოშვილის ბაღის რეაბილიტაცია, რისთვისაც 1500 000 ლარამდე იყო გამოყოფილი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა საფეხმავლო ბილიკების შეცვლა, განახლდა შადრევანი, შეიცვალა ძელსკამები, მოეწყო ბავშვთა ატრაქცია, განახლდა განათება და დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, ასევე დაემატა ველო ბილიკი, სკვერში ფუნქციონირებს ტრენაჟორები, მინი საკალათბურთო მოედანი და განახლდა მწვანე სივრცეები. პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც დღის განმავლობაში სარგებლობენ სკვერით.

მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ჭომაშიც, სადაც მოეწყო ჯომარდობის სტარტი (1095 000 ლარი) და სრული რეაბილიტაცია ჩაუტრდა ნიჩბოსნობის სკოლას, რისთვისაც დაიხარჯა 910 000 ლარი. ეს ორივე პროექტი თავისი შინაარსით ძალიან საინტერესოა, რადგან ეს სპორტის სახეობები, ერთგვარ მიზიდულობის ცენტრად აქცევს ჭომის დასახლებას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ სფეროში არიან დასაქმებული.

საბინაო ინფრასტრუქტურის კუთხით სადარბაზოების რეაბილიტაცია მიმდინარეობს:

- ჯავახიშვილის N2 (1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 სადარბაზოები 61 295 ლარი);
- ჯავახიშვილის N8 ში (1-ლი სადარბაზო 13 821 ლარი);
- ჯავახიშვილის N10 -ში (მე-2 , მე-3 სადარბაზო 25 194 ლარი);
- რუსთაველის N96 -ში (მე3 სადარბახო 16 834 ლარი);
- აღმაშენებლის N40 (1-ლი და მე-2 სადარბაზო 44 308 ლარი);

ჯამი :161 452 ლარი.

ასევე დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამით ორმა კორპუსმა ისარგებლა :

- ალ.ყაზბეგის N36 (42 992 ლარი);
- აღმაშენებლის N40/28 (15 388 ლარი);

ჯამი :58 380 ლარი.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს ქალაქში ძლიერი ქარების შედეგად ბევრ მისამართზე დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. აღნიშნული ზარალის ასანაზღაურებლად ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოგვიყო თანხები და მოხდა მოსახლეობისათვის სახურავის მასალების შეძენა. უქიმერიოს ოლქში 81 ოჯახს გადაეცა მასალები (გოფრირებული, ფურცლოვანი და ჰიდროსაიზოლაციო). აღნიშნულმა ოჯახებმა დროულად მოგვმართეს განცხადებით უქმიერიონის და გუმათის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შევეხები სოციალურ თემას, როგორც იცით აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ჩვენი ბიუჯეტიდან, სამწუხაროდ ქალაქში ჯერ კიდევ არ გვაქვს სახარბიელო სოციალური ფონი, ამიტომ მომართვიანობა ხშირია, როგორც ჩემთან, მაჟორიტარის რანგში, ასევე ქალაქის ხელისუფლებასთან. მომართვიანობა ძირითადად ეხება რამდენიმე მიმართულებას, პირველი-ერთჯერადი მატერიალური დახმარება (წელს 48 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა და ჯამში გაცემულ იქნა 10 900 ლარი) მეორე-სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში 1 040 554 ლარია გამოყოფილი და ჯამში 2497-მა მოქალაქემ ისარგებლა, რომელთაგან უქიმერიონში მაცხოვრებელია 221 მოქალაქე, მესამე-მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 179 654 ლარს, რითაც 1000-მდე მოქალაქემ ისარგებლა და მათგან უქიმერიონში მაცხოვრებელია 98.

მაჟორიტართან ერთად გახლავართ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა კომისიამ ჩაატარა 18 სხდომა, განხილულია 100 საკითხი,

ყველა საკითხზე შემუშავებულ იქნა დასკვნები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, საკითხებს შორის არის რგფ-თან მოსაწონებლად გადასაგზავნი წინადადებების ნუსხა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩემთვის, რადგან ამ დოკუმენტით ხდება მომავალი წლის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა, გარდა ამისა, მერია საკუთარი სახსრებითაც ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც ასევე შედის ჩვენი კომისიის კომპეტენციაში, ასევე განხილულ საკითხებს შორისაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის შეღავათიანი ფასდაკლებით, უფასო სარგებლობის უფლებით ისარგებლებენ, ასევე თებერვლის თვეში კომისიამ მონაწილეობა მიიღო კანონით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებაში. ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განკარგულებაში შეტანილ იქნა 11 ცვლილება და ჯამში დაემატა 28 ობიექტი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ძირითად საქმიანობას დებულების თანახმად წარმოადგენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების, როგორებიცაა ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური, მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები", ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი" შპს „პარკინგსერვისი", შპს „საპრანსპორტო კომპანია" და სხვ., ანგარიშების მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ და მონიტორინგი მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. აქვე მინდა, განსაკუთრებით ავღნიშნო ჩვენი კომისიის მიერ შეტანილი წვლილი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, კერძოდ, ჩვენი კომისიის სხდომებზე, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის მეშვეობით ხდება შეჯერება განსახორციელებელ პროექტებზე და დგება პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც ეგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროს, დაფინანსების მოსაპოვებლად.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს და კურატორ ვიცე მერს თანამშრომლობისათვის. მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ აღმასრულებელთან ერთად შევიმუშავეთ გეგმა, წლების წინ, უკანონოდ აშენებული კიბის უჯერედები, რომლითაც ძირითადად სარგებლობდნენ კორპუსების პირველ სართულზე განთავსებული კომერციული ფართები, მოგვექცია კანონის ფარგლებში, დავადგინეთ გარკვეული ვიზუალური სტანდარტი და გავეცით იჯარით, საიდანაც დამატებით ხდება თანხების შემოსვლა ქალაქის ბიუჯეტში, მეორეს მხრივ კი ეს ყოველივე ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს.

მინდა მადლობა გადავუხადო, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის, როგორც უმრავლესობას, ისე ოპოზიციური კვოტით წარმოდგენილ წევრებს, რადგან კომისიის არცერთი სხდომა არ ჩაშლილა ქვორუმის არარსებობის გამო.

დამატებით გაცნობებთ, რომ გახლავართ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, რომელსაც ბატონი ბაქარ მახარაძე თავმჯდომარეობს, აღნიშნული კომისიის საქმიანობაში აქტიურად ვიღებ მონაწილეობას, მიმდინარე წელს გაიმართა 9 სხდომა, განხილული იქნა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, ასევე მოვისმინეთ სხვადასხვა სამსახურების ანგარიშები.

ბოლოს მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ჩვენს ამომრჩევლებს, რომლებიც გვენდეთ და მოგვეცით საშუალება მონაწილეობა მიგვეღო ჩვენი ქალაქის მშენებლობაში. ვთვლი, რომ ჩვენც ჩვენის მხრივ მაქსიმუმს ვაკეთებთ იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რაც დღეს გვაქვს, არც ისე შორი პრესპექტივაა, რომ ქუთაისი სულ მალე იყოს ისეთი მიმზიდველი ქალაქი, როგორიც ადრე იყო, მეტიც, გახდეს დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცენტრი, უფრო თანამდეროვე, ტურისტულად საინტერესო, მოწესრიგებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით.

მოდის ახალი 2024 წელი და ჩვენ გვაქვს მზაობა ხელისუფლებიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რეგიონალური განვითარების ფონდიდან, რომ განხორციელდეს კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქალაქისათვის. კომუნიკაციის პრობლემა არ გვაქვს და ყოველთვის ვიქნები თქვენს სამსახურში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული
ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი

ამირან კოპალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის უქიმერიონის და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N2

შეხვედრის დრო: 2023 წლის 27 ოქტომბერი. 12:00 სთ.
შეხვედრის ადგილი: ქალაქი ქუთაისი,
ბოტანიკური ბაღი, ლესელიძის ქუჩა N2

უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი, საკრებულოს წევრი, ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის „უქიმერიონის" ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (62 მოქალაქე), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ნადირაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე, საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბექა ქებულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მარეხი ნიჟარაძე, საკრებულოს წევრები: მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მანანა ჩიხლაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი იმედა საღინაძე, მერის წარმომადგენელი „უქიმერიონის" ადმინისტრაციულ ერთეულში სალომე მინდიაშვილი, მერის წარმომადგენელი „გუმათის" ადმინისტრაციულ ერთეულში შალვა ლომთათიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე თეკლა გველესიანი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი თეონა მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლია ჩახუნაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თამთა ღვინეფაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო კიკნაველიძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი ლელაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თამარ ხორგუანი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა გახსნა შეხვედრა და წარმოადგინა ამომრჩევლებთან შეხვედრის დღის წესრიგი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის ანგარიში, 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის ანგარიში, 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა: „მოგესალმებით, გახლავართ ამირან კოპალეიშვილი, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ამავე საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი. როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ჩემი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ მოსახლეობას წარვუდგინო ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, ჩემს ანგარიშს დავყოფდი ორ ნაწილად: პირველი, როგორც მაჟორიტარის და მეორე-როგორც საკრებულოს წევრისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის. წარმოგიდგენთ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა, დავიწყებ მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციით, უქიმერიონის სამაჟორიტარო ოლქში რეაბილიტირდა შემდეგი კორპუსების ფასადები:

- დუმბაძის ქუჩ N2 (თანხა 228 450)
- რუსთაველის გამზირი N102-104 (თანხა 394 000)
- რუსთაველის გამზირი N85 და N92 (575 000)
- რუსთაველის გამზირი N96 (მიმდინარეობს და თანხა 299 980)
- ჯავახიშვილის ქუჩა N1 და N2 ფასადების ტენდერი ჩატარდა (თანხა 780 000)

ჯამი: 2 277 930 ლარი.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2021 წელს TV რიონის ეთერში დავაანონსე რუსთაველის ქუჩის ფასადების სრული რეაბილიტაცია და დათქმულ პირობას ბოლომდე ვასრულებთ. მომდევნო წელს იგეგმება გამარჯვების მოედანზე, რუსთაველის გამზირის N97-99 ჩათვლით, ასევე რუსთაველის N108, N116, N118, N27 და N24-ის (ჯამში 1 000 000 ლარამდე) რეაბილიტაცია. აღნიშნულს მოსაწონებელ წინადადებებში ვუყრით კენჭს, რის შემდეგაც გადაიგზავნება

რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსების მოსაპოვებლად. აქვე მინდა ავღნიშნო, რუსთაველის გამზირის N110-დან 114-ის ჩათვლით არ შედგა ტენდერი, მოსახლეობამ განაცხადა უარი მოცემული პროექტის მიხედვით რეაბლიტაციის განხორციელებაზე. გამარჯვების მოედანზე მოხდა გზის გამყოფ კუნძულებზე გამწვანების მოწყობა, რისთვისაც დაიხარჯა 196000 ლარი, ასევე დასრულდა გამარჯვების მოედანზე არსებული კოლონადების რეაბილიტაცია, რისთვისაც დაიხარჯა 88 000 ლარი.

უქიმერიონის ოლქში მოხდა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია:

- ბარნოვის ქუჩა N43 (51 530 ლარი);
- კიკვიძის ქუჩის N8(133 333 ლარი);
- გაფრინდაშვილის ქუჩის N10-სა და N3-ს შორის (339 980 ლარი);
- ჭაბუკიანის ქუჩა N3- ში (126 315 ლარი);
- ისიანის N23 (17 950 ლარი);

ჯამი : 669 108 ლარი.

საყრდენი კედლების აღდგენას და მოწყობას ვგეგმავთ შემდეგ მისამართებზე:

- ლესელიძის პირველი ჩიხი N10-ის მოპირდაპირედ;
- პეტრიწის ქუჩა N21 -ის მოპირდაპირედ;
- ასლანიკაშვილის N13;
- ჭონქაძის ქუჩა N1, N3 და N3*;
- ასლანიკაშვილის ქუჩა N44;
- ასლანიკაშვილის N19;
- კიკვიძის N9-ის მიმდებარედ;
- პეტრიწის მე-2 ჩიხი N9 -ისა და პეტრიწის N12-ის მიმდებარედ;
- ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-6 შეს. N14-ის მიმდებარედ;
- ქ. წამებულის ქუჩის მეორე ჩიხი N10-ის მიმდებარედ;

მითითებულ მისამართებზე საპროექტო დოკუმენტაცია ნაწილზე არსებობს, ხოლო დანარჩენზე პროექტები მომზადების პროცესშია.

რაც შეეხება გზების რეაბილიტაციას, ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი არის პეტრიწის მეორე შესახვევი, რომლის რეაბილიტაცია დღე-დღეზე დაიწყება და მისი ღირებულება 1 765 000 ლარია, ასევე დაიწყება გაფრინდაშვილის ქუჩის მეორე ჩიხის რეაბილიტაცია, რომლის საყრდენი კედელიც გაკეთდება და 401 000 ლარია გამოყოფილი. მოსაწონ წინადადებებში, რომელიც რეგიონალურ ფონდში გადაიგზავნება, ასევე მოწონებულია და იგეგმება შემდეგი გზების რეაბილიტაცია:

- ონის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (გუმათი)
- ლესელიძის ქუჩაზე ჯომარდობასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ჭომა)
- გოჭოურას სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;
- ვაჟა-ფშაველას N2 დან N14-ის ჩათვლით;
- ჩანჩიბაძის და ქეთევან წამებულის ქუჩების დამაკავშირებელი მონაკვეთი;
- შავგულიძის ქუჩის რეაბილიტაცია;

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ქუჩებიდან ნაწილზე უკვე გამოცხადებულია ტენდერები.

განხორციელდა ნინოშვილის ბაღის რეაბილიტაცია, რისთვისაც 1500 000 ლარამდე იყო გამოყოფილი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა საფეხმავლო ბილიკების შეცვლა, განახლდა შადრევანი, შეიცვალა ძელსკამები, მოეწყო ბავშვთა ატრაქცია, განახლდა განათება და დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, ასევე დაემატა ველო ბილიკი, სკვერში ფუნქციონირებს ტრენაჟორები, მინი საკალათბურთო მოედანი და განახლდა მწვანე სივრცეები. პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც დღის განმავლობაში სარგებლობენ სკვერით.

მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ჭომაშიც, სადაც მოეწყო ჯომარდობის სტარტი (1095 000 ლარი) და სრული რეაბილიტაცია ჩაუტრდა ნიჩბოსნობის სკოლას, რისთვისაც დაიხარჯა 910 000 ლარი. ეს ორივე პროექტი თავისი შინაარსით ძალიან საინტერესოა, რადგან ეს სპორტის სახეობები, ერთგვარ მიზიდულობის ცენტრად აქცევს ჭომის დასახლებას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ სფეროში არიან დასაქმებული.

საბინაო ინფრასტრუქტურის კუთხით სადარბაზოების რეაბილიტაცია მიმდინარეობს:

- ჯავახიშვილის N2 (1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 სადარბაზოები 61 295 ლარი);
- ჯავახიშვილის N8 ში (1-ლი სადარბაზო 13 821 ლარი);
- ჯავახიშვილის N10 -ში (მე-2 , მე-3 სადარბაზო 25 194 ლარი);
- რუსთაველის N96 -ში (მე3 სადარბახო 16 834 ლარი);
- აღმაშენებლის N40 (1-ლი და მე-2 სადარბაზო 44 308 ლარი);

ჯამი :161 452 ლარი.

ასევე დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამით ორმა კორპუსმა ისარგებლა :

- ალ.ყაზბეგის N36 (42 992 ლარი);
- აღმაშენებლის N40/28 (15 388 ლარი);

ჯამი :58 380 ლარი.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს ქალაქში ძლიერი ქარების შედეგად ბევრ მისამართზე დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. აღნიშნული ზარალის ასანაზღაურებლად ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოგვიყო თანხები და მოხდა მოსახლეობისათვის სახურავის მასალების შეძენა. უქიმერიოს ოლქში 81 ოჯახს გადაეცა მასალები (გოფრირებული, ფურცლოვანი და ჰიდროსაიზოლაციო). აღნიშნულმა ოჯახებმა დროულად მოგვმართეს განცხადებით უქმიერიონის და გუმათის ადმინისტრაციულ ერთეულებში. შევეხები სოციალურ თემას, როგორც იცით აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ჩვენი ბიუჯეტიდან, სამწუხაროდ ქალაქში ჯერ კიდევ არ გვაქვს სახარბიელო სოციალური ფონი, ამიტომ მომართვიანობა ხშირია, როგორც ჩემთან, მაჟორიტარის რანგში, ასევე ქალაქის ხელისუფლებასთან. მომართვიანობა ძირითადად ეხება რამდენიმე მიმართულებას, პირველი-ერთჯერადი მატერიალური დახმარება (წელს 48 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა და ჯამში გაცემულ იქნა 10 900 ლარი) მეორე-სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში 1 040 554 ლარია გამოყოფილი და ჯამში 2497-მა მოქალაქემ ისარგებლა, რომელთაგან უქიმერიონში მაცხოვრებელია 221 მოქალაქე, მესამე- მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 179 654 ლარს, რითაც 1000-მდე მოქალაქემ ისარგებლა და მათგან უქიმერიონში მაცხოვრებელია 98. მაჟორიტართან ერთად გახლავართ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა კომისიამ ჩაატარა 18 სხდომა, განხილულია 100 საკითხი, ყველა საკითხზე შემუშავებულ იქნა დასკვნები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, საკითხებს შორის არის რგფ-თან მოსაწონებლად გადასაგზავნი წინადადებების ნუსხა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩემთვის, რადგან ამ დოკუმენტით ხდება მომავალი წლის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა, გარდა ამისა, მერია საკუთარი სახსრებითაც ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც ასევე შედის ჩვენი კომისიის კომპეტენციაში, ასევე განხილულ საკითხებს შორისაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის შეღავათიანი ფასდაკლებით, უფასო სარგებლობის უფლებით ისარგებლებენ, ასევე თებერვლის თვეში კომისიამ მონაწილეობა მიიღო კანონით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებაში. ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განკარგულებაში შეტანილ იქნა 11 ცვლილება და ჯამში დაემატა 28 ობიექტი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ძირითად საქმიანობას დებულების თანახმად წარმოადგენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების, როგორებიცაა ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური, მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები", ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი" შპს „პარკინგსერვისი", შპს „საპრანსპორტო კომპანია" და სხვ., ანგარიშების მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ და მონიტორინგი მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. აქვე მინდა, განსაკუთრებით ავღნიშნო ჩვენი კომისიის მიერ შეტანილი წვლილი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, კერძოდ, ჩვენი კომისიის სხდომებზე, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის მეშვეობით ხდება შეჯერება განსახორციელებელ პროექტებზე და დგება პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც ეგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროს, დაფინანსების მოსაპოვებლად. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს და კურატორ ვიცე მერს თანამშრომლობისათვის. მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ აღმასრულებელთან ერთად შევიმუშავეთ გეგმა, წლების წინ, უკანონოდ აშენებული კიბის უჯერედები, რომლითაც ძირითადად სარგებლობდნენ კორპუსების პირველ სართულზე განთავსებული კომერციული ფართები, მოგვექცია კანონის ფარგლებში, დავადგინეთ გარკვეული ვიზუალური სტანდარტი და გავეცით იჯარით, საიდანაც დამატებით ხდება თანხების შემოსვლა ქალაქის ბიუჯეტში, მეორეს მხრივ კი ეს ყოველივე ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს. მინდა მადლობა გადავუხადო,

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის, როგორც უმრავლესობას, ისე ოპოზიციური კვოტით წარმოდგენილ წევრებს, რადგან კომისიის არცერთი სხდომა არ ჩაშლილა ქვორუმის არარსებობის გამო. დამატებით გაცნობებთ, რომ გახლავართ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, რომელსაც ბატონი ბაქარ მახარაძე თავმჯდომარეობს, აღნიშნული კომისიის საქმიანობაში აქტიურად ვიღებ მონაწილეობას, მიმდინარე წელს გაიმართა 9 სხდომა, განხილული იქნა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, ასევე მოვისმინეთ სხვადასხვა სამსახურების ანგარიშები. ბოლოს მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ჩვენს ამომრჩევლებს, რომლებიც გვენდეთ და მოგვეცით საშუალება მონაწილეობა მიგვეღო ჩვენი ქალაქის მშენებლობაში. ვთვლი, რომ ჩვენც ჩვენის მხრივ მაქსიმუმს ვაკეთებთ იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რაც დღეს გვაქვს, არც ისე შორი პერსპექტივაა, რომ ქუთაისი სულ მალე იყოს ისეთი მიმზიდველი ქალაქი, როგორიც ადრე იყო, მეტიც, გახდეს დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცენტრი, უფრო თანამდეროვე, ტურისტულად საინტერესო, მოწესრიგებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით. მოდის ახალი 2024 წელი და ჩვენ გვაქვს მზაობა ხელისუფლებიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რეგიონალური განვითარების ფონდიდან, რომ განხორციელდეს კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქალაქისათვის. კომუნიკაციის პრობლემა არ გვაქვს და ყოველთვის ვიქნები თქვენს სამსახურში."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქე **ცაგული მანაგაძე:** „4 წლის წინ დაგვპირდით, რომ 26-ე სკოლის ტერიტორიაზე მოეწყობოდა ბავშვთა გასართობი კუთხე, თუმცა არ განხორციელდა, შევეხები მეორე მტკივნეულ თემასაც, დეილის უკანა მხარეზე, სადაც მოსახლეობას აწუხებს საშინელი სუნი, რის გამოც შეუძლებელია ზაფხულში ფანჯრების გაღება, თქვენგან იყო დაპირება ამ პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, თუმცა დაპირებად დარჩა, თქვენ ბრძანდებით აქ გაზრდილი ადამიანი და თუ რაიმეს გააკეთებთ, თქვენს შვილებს გადაეცემა ისტორიულად, უნდა იბრძოლოთ თქვენს კუთხეში ბევრი რამე გააკეთოთ, თუმცა ასე არ ხდება."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ნამდვილად, 26-ე სკოლის ეზოში დავაანონსეთ სტადიონის რეაბილიტაცია, ასევე მე-7 სკოლის უკან და ფიზიკა-მათემატიკურ სკოლასთან არსებული სტადიონებიც სარეაბილიტაციოა, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ვამბობთ ვერაფერს იმიტომ, რომ ბოლო 2 წელია მთელი ქალაქის მასშტაბით სტადიონების რეაბილიტაცია არ განხორციელებულა, ამ ინფორმაციის გამოთხოვა შეგიძლიათ თქვენც, ეს იყო ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომ ამ პერიოდში პრიორიტეტად არ იქნა დასახული სტადიონების რეაბილიტაცია, რაც შეეხება დეილის უკანა ტერიტორიას, ერთ შესწორებას შევიტან თქვენს ნათქვამში და ავღნიშნავ, რომ ამასთან დაკავშირებით მე დაპირება არ გამიცია, ახალგაზრდებიც დამეთანხმებიან, ერთად ვიყავით ჩასული რამდენჯერმე, საუბარია ფაქტიურად კანალიზაციის თემაზე, გეტყვით, რომ ქალაქს არ აქვს უფლება ჩაიდინოს არაკანონიერი ქმედება, ანუ კანალიზაციას მდინარე რიონზე ვერ დავაერთებთ, შესაბამისად ამ პრობლემის აღნიშნული გზით მოგვარება შეუძლებელია."

მოქალაქე **ნინო ავალიანი:** „ჩემს საცხოვრებელ სახლთან არის დიდი ჭაობი და რამდენიმე დღის წინ ეზოში ქვეწარმავალიც შევნიშნეთ, ზაფხულში კარების გაღება შეუძლებელია იმის შიშით, რომ სახლში არ შემოვიდეს, შესაბამისად შეუძლებელია სახლის უკანა ეზოთი

სარგებლობაც, ქვეწარმავლების გარდა აუტანელი სუნია და მძიმე პირობებში გვიწევს ყოფნა, ის ჭაობი რომ გაიხსნას და წყალს გზა მიეცეს, იქნებ ამოშრეს და ნაწილობრივ გვეშველოს, ცხენები მუხლებამდე ეფლობიან ამ წყალში იმხელაა და ეგებ მოგვიხერხოთ რამე ამდენწლიანი წვალების შემდეგ."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ინფორმირებული ვარ არსებული სიტუაციის თაობაზე, ჩემთვის სულერთი არ არის რა პირობებში იცხოვრებს მოსახლეობა, რადგან უნდა იცოდეთ ჩემი დამოკიდებულება ჭომისადმი განსაკუთრებით, ამ პრობლემაზე ოფიციალური პასუხი არის ის, რომ უნდა დაველოდოთ სამელიორაციო პროექტი, რომელიც უკვე დაანონსებულია 4 წელზე მეტია, როგორც ვიცით აზიის განვითარების ბანკს თანხაც ქონდა გამოყოფილი, ერთი პროექტი, რომელიც გაკეთდა აღმოჩნდა ხარვეზიანი, დაიწყეს ხელახლა პროექტირება და ეს საკამოდ მოცულობითი სამუშაოა, მთელი ქალაქის მასშტაბით კანალიზაციის სისტემის მოწყობას გულისხმობს, 100 მილიონი ევრო იყო გამოყოფილი თუ არ ვცდები. ეს რაც შეეხება ოფიციალურ პასუხს, ხოლო არაოფიციალურად გეტყვით, თუ მოაწყობთ შაბათობას გვერდში დაგიდგებით, ჩემი მხრიდან თანადგომა და სოლიდარობა ეს იქნება, რაც შეეხება ქალბატონი ცაგულის გაჟღერებულ თემას, მინდა პასუხი გავცე და ავღნიშნო, რომ ვერ დავეთანხმები იმ უარყოფით დამოკიდებულობას, თითქოს არაფერი გაკეთებულა ამ ადმინისტრაციულ ოლქში, მთლიანად ლესელიძის ქუჩა 2 100 000 ლარის ღირებულებით დეპატრამენტმა განახორციელა, ასევე მეორე შესახვევი, სხვათაშორის როდესაც 2017 წლის არჩევნებში ჩავერთე, ჩემი საარჩევო კამპანია დავიწყე ზუსტად ამ ლოკაციიდან, დავაგეთ იქ გზაც, წელს დაიხარჯა ორ მილიონ ლარამდე ჯომარდობასა და ნიჩბოსნობის თემებთან დაკავშირებით, რაც შეეხება გზებს- რეაბილიტირდა მესამე, მეხუთე ჩიხები, მეორე შესახვევის მოპირდაპირედ არსებული მოსეშვილის ქუჩა, ვთვლი, რომ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს ბევრი რამე გაკეთდა ჭომაში, მესმის, რომ არსებობს გამოწვევები, რასაც ოფიციალურად ვერ ვერევით, არ გვაქვს ამის რესურსი და ლეგიტიმაცია, სხვა შემთვევაში მზად ვარ გვერდში დაგიდგეთ და ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმაროთ თუნდაც ფიზიკურად, ჩემთვის ძალიან რთული მოსასმენია, რომ ჭომაში არაფერი გაკეთებულა, მითუმეტეს მაშინ, როცა ეს რეალობას არ შეესაბამება."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მოგესალმებით, შესაძლებელია ყველა თქვენგანი არ მიცნობთ, გახლავართ საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, პირველ რიგში ძალიან დიდ მადლობას გიხდით მობრძანებისთვის და იმ ინტერესისათვის, რომელსაც იჩენთ საკრებულოს წევრის მიმართ და უსმენთ ანგარიშს, ალბათ ეს პრეცენდენტი 2017 წლიდან უფრო მეტად გავააქტიურეთ, როდესაც მოქალაქის წინაშე ანგარიშვალდებულებას იჩენენ დეპუტატები და წელიწადში ერთხელ აბარებენ ანგარიშს, მადლობა თითოეულ დეპუტატს ამ პასუხისმგებლობის გააზრებისა და გაზიარებისათვის, ძალიან კარგია ის უკუკავშირი რომელიც თქვენგან, მოქალაქეებისგან მიდის მაჟორიტართან, მათ შორის ის მოთხოვნები, რომელიც გაჟღერდა. ესეთი ტიპის შეხვედრები არ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ თქვენ მოისმინოთ მაჟორიტარის მიერ გაკეთებული საქმეები, არამედ მათაც ჰქონდეთ თქვენი უკუკავშირი და შესაბამისად მოისმინონ მოქალაქეების პრობლემები, ამიტომ ვფიქრობ, რომ დღევანდელი შეხვედრა ამ მიზნის საუკეთესო შესაძლებლობაა, თქვენი მოსაზრებები ჩვენთვის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოსათვის, არის ძალზედ მნიშვნელოვანი, თითოეული თქვენთაგანი წარმოადგენს ჩვენს ხმას ადგილობრივ თვითმმართველობაში და შესაბამისად თქვენი მოსაზრებები სწორად უნდა გავიაზროთ და

მივიტანოთ იქ სადაც საჭიროა, ამავდროულად უნდა მოვახდინოთ ამ მოთხოვნების ბიუჯეტში მუხლობრივი ასახვა, ამირანმა ბევრი ისაუბრა იმ პროექტებზე, რომელიც უქიმერიონის ოლქში განხორციელდა და თუ ავიღებთ იმ რესურსს , რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა ამ ოლქში, საკმაოდ მოცულობითია, ჩვენ ვერ და არ ვითტყვით იმას, რომ პრობლემები არ არის, თუ საკანალიზაციო ქსელს, სპორტული ინფრასტრუქტურას ან ბავშვთა გასართობ კუთხეს ეხება საქმე, უბრალოდ ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს ის შესაძლებლობა, რომელიც ქალაქის ბიუჯეტს გააჩნია და თუ შევადარებთ, 2017 წელთან შედარებით რათქმაუნდა გაზრდილია, ფინანსური შესაძლებლობის გაზრდასთან ერთად გაიზარდა დანახარჯიც და შესაბამისი პრიორიტეტების ნაწილიც, ადრე ხალხის მოთხოვნა თუ იყო სოციალური დახმარება, მედიკამენტები ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, დღეს ჩვენ სხვა პრიორიტეტებს ვხედავთ მოსახლეობისგან და ეს ეხება საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სპორტულ ინფრასტრუქტურას და ა.შ, ანუ რეალურად ჩვენ შევძელით, რომ ხალხის სოციალური და ჯანდაცვითი მოთხოვნებიდან გადავედით სხვა მოთხოვნებზე. დავიწყებ თავიდან და შევეხები საკანალიზაციო ქსელის პრობლემას, ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოცხადებული აქვს ტენდერი და აზიის განვითარების ბანკის მეშვეობით ეს პროექტი განხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ისევე როგორც განხორციელდა 24 საათიანი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, ამიტომ გლობალურად მოსაგვარებელი თემაა, მაგრამ თუ არსებობს მწვავე საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვს რეაგირებას და ეს ეხება თქვენს გაჟღერებულ პრობლემას, ამ შეხვედრასთან დაკავშირებით შედგება ოქმი, ამ ოქმის ამონაწერი აუცილებლად მივა აღმასრულებელ ხელისუფლებამდე, შესაბამისად მოხდება ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და დამერწმუნეთ ამ საკითხზე უკუკავშირი გექნებათ თქვენ, ამ პრობლემას შეისწავლის სპეციალური ჯგუფი და თქვენ გექნებათ საშუალება გარკვეული ფორმით მიიღოთ ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ, როგორც ამირანმა აღნიშნა, ქალაქი ვერ დახარჯავს ფულს უკანონო ქმედებაში, ამას აუდიტი ამოწმებს, ვუერთდები მის ნათქვამს და გარწმუნებთ, ფიზიკურად შრომისთვის მზად ვართ და თქვენს გვერდით დავდგებით ნებისმიერი საჭიროებისას. მეორე საკითხი, რაც შეეხება სტადიონს-ამირანმა ძალიან კარგად აღნიშნა, რომ ქალაქის მასშტაბით წინა წლებში ძალიან ბევრი ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა გაჩნდა და სამწუხაროდ ამან გამოიწვია ის, რომ ამ მიმართულებით დახარჯული ფინანსური რესურსი, სხვა, ძველ სარეაბილიტაციო სტადიონებს მოაკლდა და ესენი დაგვრჩა ამ ფორმით. 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტი იქნება რეაბილიტაცია ჩაუტარდეს არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურას, სამწუხაროდ ერთ წელიწადში ვერ მოვიცავთ ყველა სტადიონს, რადგან ქალაქის ბიუჯეტი და შესაძლებლობები, მიუხედავად იმისა, რომ წლიდან წლამდე იზრდება, ამის საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ ჩვენ გვჭირდება პრიორიტეტების სწორად არჩევა, 2024 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტი არის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ჩვენ გზები, სანიაღვრე სისტემები და რეკრეაციული სივრცეები ასე თუ ისე მოვაწესრიგეთ და ახლა გადავდივართ უშუალოდ მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე, ასევე მთავრობაში წარდგენილია დაახლოებით 14 მილიონი ღირებულების ის პროექტები, რომელიც უშუალოდ საბინაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ეხება, ამიტომ ჩვენ სწორად უნდა შევარჩიოთ თქვენთან ერთად ის პრიორიტრეტები, რომლებიც შემდგომ წლებში გვექნება, დამერწმუნეთ ერთ წელიწადში, როდესაც თქვენი მაჟორიტარი კვლავ წარსდგება თქვენს წინაშე, კიდევ მოგიყვებათ უქიმერიონის ოლქში განხორციელებული

პროექტების შესახებ, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენ, მადლობა ბატონ ამირანს იმ ძალისხმევისთვის რასაც არ იშურებს, ეს არ ეხება მარტო განხორციელებულ პროექტებს, არამედ ყოველდღიური ურთიერთობა მოქალაქეებთან, ასევე მის ტელეფონზე განხორციელებული ზარების რაოდენობა და ა.შ., ეს რათქმაუნდა მისი მოვალეობაა და შესანიშნავად ასრულებს იმ როლს, რომელიც მას ხალხმა მიანიჭა."

მოქალაქე **ვიოლეტა ლომთაძე:** „ჩვენთან, პეტრიწის ქუჩა N62-ში თქვენ ნანახი გაქვთ გაფუჭებულია გზის მონაკვეთი, ეს დაზიანება წყლის მილების გაფუჭებამ გამოიწვია, რამდენად არის შესაძლებელი ამის შეკეთება?"

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „სიმართლე გითხრათ ვერ აღვიდგინე ეს ადგილი, მაგრამ ჩვენ ჩავინიშნავთ მისამართს რა მონაკვეთზეც არის საუბარი და აუცილებლად მოხდება დათვალიერება, ბატონ ირაკლის მადლობას ვუხდი შეფასებისათვის, მან სწორად აღნიშნა, უქიმერიონის ოლქს სამუშაოების მოცულობებით არ აქვს სათქმელი, რომ ცოტა რამ გაკეთდა, სამომავლოდ კიდევ ბევრი პროექტია გეგმაში."

მოქალაქე **ელენა მინდიაშვილი:** „სადარბაზოების რეაბილიტაცია თუ არის გეგმაში?"

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „როგორც იცით ამ პროგრამით სარგებლობა გულისხმობს მაცხოვრებელთა ფინანსურ თანამონაწილეობას, პროგრამა თვითონ ორი სახისაა, ერთი მათგანი შესასვლელი კარების და მეტალოპლასტმასის ფანჯრების გამოცვლას გულისხმობს, მეორე-მოიცავს სამალიარო სამუშაოებს და ძირფესვიან რეაბილიტაციას, მთავარი მაცხოვრებელთა ჩართულობა და თანამონაწილეობაა. სწორ დროს, დროულად უნდა იქნეს მოწოდებული შესაბამისი დოკუმენტაცია და ყველანაირად იქნება განცხადება გათვალისწინებული."

მოქალაქე **ელენა მინდიაშვილი:** „ჩვენთან მე-5 შესახვევში წვიმის დროს გთხოვთ მობრძანდით და ნახეთ როგორ იტბორება იქაურობა, მდინარესავით მოდის წყალი და ეს ჩვენთვის ძალიან პრობლემატური თემაა, აქვე ავღნიშნავ მეორე საყურადღებო პრობლემასაც, სასაფლაოებთან არსებული ნაგავი სად შეიძლება რომ წავიღოთ, ფიზიკურად აღარ ეტევა და სუფევს ანტისანიტარია."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კი დაგეთანხმებით სასაფლაოების საკითხთან დაკავშირებით, გარდა ნაგვის პრობლემისა, იქ მოსაგვარებელია წყლის და დენის პრობლემაც, ცნობილია ჩვენთვის ეს საკითხები და უნდა მივყვეთ თანმიმდევრობით."

მოქალაქე **ნინო ავალიანი:** „ჩვენს 26-ე სკოლასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, 4 წლის უკან იქ ჩადიოდნენ ბავშვები და თამაშობდნენ ფეხბურთს მთელი ზაფხული, იქ უკვე ასფალტზეა ხეები ამოსული, გაუსუფთავებელია, შეინიშნება ქვეწარმავლებიც, იქნებ მოგვარდეს ეს თემა."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კიდევ ერთხელ ვიტყვი, როდესაც ქალაქის მასშტაბით დაიგეგმება სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული სტადიონების რეაბილიტაცია, 26-ე სკოლის სტადიონიც იქნება ერთ-ერთი, ბატონი ბაქარ მახარაძე, რომელიც დღეს აქ გვესწრება, აგროვებდა ინფორმაციას განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და დამეთანხმება, რომ ჩემი მხრიდან გადაცემულია 26-ე, მე-7 და ფიზიკა-მათემატიკური სკოლების სტადიონების რეაბილიტაციის საჭიროება, ვადევნებ თავლყურს წლის განმავლობაში განხორციელებულ სამუშაოებს და კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ წლის განმავლობაში ერთ მუნიციპალიტეტშიც რომ განხორციელებულიყო ერთი სტადიონის რეაბილიტაცია მაინც, მექნებოდა სამართლიანი პროტესტის გრძნობა, რადგან დიდი ხანია ეს საკითხი დაყენებული მაქვს დღის წესრიგში, ჩემს გარდა არიან სხვა მაჟორიტარებიც, სწორად გამიგეთ და მათაც თავიანთი საჭიროებები გააჩნიათ,

მე პრივილეგირებული ვერ და არ ვიქნები, ეს არ იქნება სწორი, ამის გარდა არსებობს პრიორიტეტები, რომლითაც ჩანაცვლება ხდება ამა თუ იმ საკითხის, დამეთანხმებით და არჩევანის წინაშე რომ დავდგეთ სტადიონის რეაბილიტაციასა და ისეთი საყრდენი კედლის მშენებლობას შორის, რომლის აუშენებლობაც პირობითად სამ ოჯახს შეუქმნის საფრთხეს, ვფიქრობ მეორეს აარჩევდით თქვენც და ლოგიკურია ასე ხდება რეალობაშიც, აირჩევა უფრო მეტად პრიორიტეტული, თუმცა არ ვგულისხმობ იმას, რომ სტადიონი ნაკლებნიშვნელოვანია."

მოქალაქე **ნანა მაწკეპლაძე:** „ლესელიძის V შესახვევის N14-ში ვცხოვრობ და თხოვნა მექნება თქვენთან, იქნებ მოეწყოს ბავშვთა ატრაქციონები, ვერ ხარჯავენ ენერგიას და აქვთ ასეთი კუთხის დეფიციტი, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „იყო ამაზე ლაპარაკი, რომ გვინდოდა ტრენაჟორებისა და ბავშვთა ატრაქციონების მოწყობა, ამაზე ზრუნვა რომ დავიწყეთ და ადგილებიც შევარჩიეთ, მოსახლეობა წავიდა წინააღმდეგი, არ სურდათ საკუთარ ეზოსთან ახლოს ამის მოწყობა, ზოგმა დააფიქსირა უარი იმ მოტივით, რომ მანქანის მანევრირებაში შეუშლიდა ხელს, გასაგებია რომ გაქვთ სურვილი და ჩემამდე მოიტანეთ ეს თხოვნა, მაგრამ სანამ მე მეტყვით ამას ხომ არ სჯობს, რომ მოსახლეობა შეხვდეთ ერთმანეთს, შეთანხმდეთ, წახვიდეთ დათმობაზეც და ყველა თქვენგანისათვის მოსაწონ ადგილზე შეჯერდეთ, რომ არ იყოს შემდგომში საკამათო."

მოქალაქე **ზურაბ დათიაშვილი:** „გახლავართ ნიჩბოსნობის სპორტული სკოლის ხელმძღვანელი, არ შემიძლია არ ავღნიშნო ჩვენი ქალაქის დასაფასებელი ქმედება, ყველას გაქვთ საშუალება, თუ ჯერ არ გინახავთ მობრძანდეთ და ნახოთ რა გააკეთა ჩვენმა ქალაქმა, ახალგაზრდებისათვის აშენდა ორი შესანიშნავი ბაზა და არ შემიძლია ამისათვის მადლობა არ გადაგიხადოთ."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მადლობა მადლობისათვის, ეს ორი ობიექტი, ჯომარდობა და ნიჩბოსნობა თავისი შინაარსით ძალიან მნიშვნელოვანია და მადლობა აღმასრულებელს ამ ყველაფრისათვის, ცოტა ხანში დავინახავთ შედეგს, მოიმატებს ტურისტთა ნაკადი ჭომაში, რასაც მოყვება სასიკეთო ცვლილებებიც."

მოქალაქე **ნანა მაწკეპლაძე:** „მე დიდი მადლობელი ვარ ქალაქის ხელმძღვანელობის, დიაბეტით დაავადებული მეუღლე სანამ გარდამეცვლებიოდა უამრავჯერ დამეხმარნენ წამლებიდან დაწყებული სავარძლით დამთავრებული, ამ ყველაფერს როგორ დავივიწყებ, ჩემი მოკრძალებული თხოვნა ბავშვთა ატრაქციონებთან დაკავშირებით, გქონდეთ მხედველობაში."

საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** „მოგესალმებით ყველას, კარგია, რომ დღეს საკრებულოს წევრს აქვს იმის შესაძლებლობა თქვენი მანდატისა და ნდობის საფუძველზე აკეთოს ის, რაც მის ადმინისტრაციულ ერთეულს სჭირდება, ვისმენ კრიტიკასაც და ეს ვფიქრობ აუცილებელიცაა, სადაც კეთდება, მოთხოვნაც იქ არის, მინდა გითხრათ, რომ თქვენ გყავთ არაჩვეულებრივი მაჟორიტარი, ის არის ჩემი ფრაქციის წევრი, ძალიან დიდი და ყველაზე საპასუხისმგებლო კომისიის ხელმძღვანელი, რასაც ძალიან კარგად უძღვება, მინდა გაგიმხილოთ და გითხრათ, რომ პირიქით ვბრაზობ ხოლმე, რათქაუნდა ეს ხუმრობით, რომ თქვენი მაჟორიტარი ყოველთვის ყველაზე მეტს ითხოვს უქიმერიონის და გუმათის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, თქვენს მიერ ნახსენები თემა, რომელიც კანალიზაციის პრობლემას შეეხება კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გლობალურია და მთელი ქალაქის მასშტაბით არსებობს, ველოდებით იმ დიდი პროექტის განხორციელებას, რომელიც ბატონმა ირაკლიმ ახსენა და მე გულწრფელად ბოდიშს

გიხდით თითოეულ თქვენგანს, ვინც აღნიშნული პრობლემის წინაშე დგახართ, ბოლოს გეტყვით, რომ თქვენ ნდობა გამოუცხადეთ ადამიანს, ვისაც ეს ნამდვილად ეკუთვნოდა, ყველაზე კარგი კი არის ის, რომ ბატონი ამირანი თავის ამომრჩეველს ელაპარაკება გულწრფელად, სამართლიანად და ობიექტურად, ამიტომ კრიტიკასაც მივიღებთ სადაც პრობლემა არსებობს, თუმცა გაჟღერებული წინადადება, რომ ამ ადმინისტრაციულ ერთეულში ბევრი არაფერი გაკეთებულა, გეტყვით, რომ არაჯანსაღია, ასე რომ ერთად ბევრ რამეს შევძლებთ."

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „დიდი მადლობა მობრძანებისთვის, მოსმენისთვის და ჩართულობისთვის, მჯერა ერთმანეთთან კომუნიკაციით და თანამშრომლობით ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ."

ამით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის უქიმერიონის და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული
ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი
ამირან კოპალეიშვილი

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
თამარ ხორგუანი